მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

პრაქტიკის კვლევის ანგარიში

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ

2023 ოქტომბერი

http://www.mc.edu.ge

კვლევის მეთოლოგია

საკვლევი საკითხი

- პრაქტიკის/პრაქტიკის კომპონენტის შეფასება პარტნიორი ორგანიზაციებისა და სტუდენტების მიერ.

კვლევის მიზნები

- პრაქტიკის/პრაქტიკის კომპონენტის შეფასება
- პრაქტიკის/პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიერ გამოვლენილი კომპეტენციების შეფასება

სამიზნე ჯგუფი

- შპს მარნეულის კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები და კოლეჯის სტუდენტები

კვლევის მეთოდი

- კვლევის მეთოდად შერჩეული იყო შერჩეული კვლევა: თვისებრივი და რაოდენობრივი

კვლევის მეთოდი

თვისებრივი

- კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციების მენეჯერი და/ან პრაქტიკის ინსტრუქტორები, კვლევის საგნის სპეციურობიდან გამომდინარე არ მოხდა ცდის პირების შერჩევა, კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მიმართვა გაეგზავნა ყველა სტუდენტს. კვლევა განხორციელდა პრაქტიკის/პრაქტიკის კომპონენტის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

რაოდენობრივი

- სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს პრაქტიკა/პრაქტიკის კომპონენტი. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სტანდარტიზირებული კითხვარი/ანკეტა.

თემის აქტუალობა

პროფესიული განათლების ფარგლებში, სტუდენტების შესაძლებლობა აქვთ გამოიმუშავონ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციები და პრაქტიკული უნარჩვევები.

პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი სტუდენტებს უვითარებს იმ უნარებს, რომელიც მათ სჭირდებათ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს, პრაქტიკული სწავლების ფარგლებში კი სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ. შეძენილი თეორიული ცოდნა გადაიტანონ პრაქტიკაში და განამტკიცონ.

კვლევის მონაცემები

პრაქტიკის კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სამი პროგრამის სტუდენტებმა, რომლებმაც გაიარეს პრაქტიკული სწავლება:

აღმზრდელი

- I კურსი 26 სტუდენტი (მოდული 1)
- I კურსი, 33 სტუდენტი (მოდული 2)
- II კურსი, 21 სტუდენტი (პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება)

საექთნო განათლება

- პრაქტიკული სწავლება დასრულდა - 2022 ოქტომბერში და 2023 მარტში. მიმდინარეობდა კლინიკური, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრიის კლინიკური მოდულების ფარგლებში (42 სტუდენტი)

ფარმაცია

- სტუდენტებმა პრაქტიკული სწავლება გაიარეს 4 მოდულის ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14 სტუდენტმა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ალმზრდელი

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

<u>სტუდენტებმა შეაფასეს პრაქტიკის ინსტრუქტორი სხვადასხვა კრიტერიუმით:</u>

- ✓ ინსტრუქტორებმა გააცნეს უფართხოების წესები და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
- ✓ სტუდენტთა დიდმა ნაწილის მიერ დაფიქსირდა, რომ არ გაეცნოთ პრაქტიკის ობიექტზე არსებული წესები და რეგულაციები (მიზეზად დასახელდა მათი ამ ორგანიზაციებში დასაქმებაის ფაქტი);
- ✓ სტუდენტები ადასტურებენ პრაქტიკული სწავლების დროს უკუკავშირის მიღების ფაქტს;
- ✓ პრაქტიკული სწავლება მათთვის წარმართული იყო ორგანიზებულად და პრაქტიკის ინსტრუქტორისგან იღებდნენ თანაბარ ყურადღებას;
- ✓ პრაქტიკის ინსტუქტორის მიერ გაწეულ დახმარებებსა და კონსტულტაციებს აფასებენ 8-10 ქულებით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

მნიშვნელოვანია სტუდენტების მიერ თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკის დროს

სტუდენტები ადასტურებენ თეორიული ცოდნის გამოყენებას

ასახელებენ შესაბამის მაგალითებს

არასაკმარისი ცოდნის ფლობა დაფიქსირდა დღის გეგმისა და ბავშვისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების ტექნიკებთან დაკავშირებით, რაც სტუდენტებს დასჭირდათ პრაქტიკების დროს, თუმცა სტუდენტების მიერ დასახელებული საკითხები მე2 კურსის მოდულებშია გაწერილი, რომლებიც ჯერ არ გაუვლიათ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

- ✓ პრაქტიკული სწავლების განხრცილებისას საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სტუდენტთა მიერ მათი შესრულებული სამუშაოს წარდგენას ან გარკვეული პერიოდულობით განვლილი დღეების შეჯამებას.

- ✓ სტუდენტთა მცირე ნაწილი ზეპირსიტყვიერად განიხილავდნენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს პრაქტიკის ინსტრუქტორთან ან ბაღის დირექტორთან და ახდენდნენ დღის შეჯამებას.



სტუდენტთა მიერ, მათი შესრულებული სამუშაოს წარდგენა/პრეზენტირება

http://www.mc.edu.ge

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

რაოდენობრივი კვლევის მონაცემი

სტუდენტების მიერ მოხდა პრაქტიკაზე ყოფნის ერთი დღის აღწერა

ისინი აღნიშნავენ, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ თავად დაეგეგმათ აქტივობა და ჩაეტარებინათ ის ბავშვებთან.

მიღებული მონაცემები ცხადყოფს, რომ სტუდენტები აქტიურად იყვნენ აღმზრდელებთან ერთად ჩართულნი დღის მანძილზე, ნებისმიერი აქტივობის განხორციელებასა და დღის გეგმების შედგენა - განხილვაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი

თვისებრივი კვლევის მონაცემები

პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობდა 14 ორგანიზაციაში, ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ექვს ორგანიზაციაში

- ✓ მარნეულის N3 ბაგა ბაღი,
- ✓ მარნეულისრაიონის სოფელ თამარისის ბაგა ბაღი,
- ✓ სოფელ საიმერლოს ბაღი, სოფელ წერეთლის ბაგა ბაღი,
- ✓ ბოლნისის რაიონის N2 საბავშვო ბაღი;
- ✓ სოფელ რატევანის საბავშვო ბაღი. პრაქტიკის

კვლევა არ განხორციელებულა ორგანიზაციებში, სადაც გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი, ან პრაქტიკულ სწავლებაზე იმყოფებოდა მხოლოდ ერთი სტუდენტი.

თვისებრივი კვლევა განხორციელდა ორი ინსტრუმენტის ფარგლებში. სამ ორგანიზაციაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო ორგანიზაციის მენეჯერებმა, ხოლო სამ ორგანიზაციაში - პრაქტიკის ინსტრუქტორებმა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
თვისებრივი კვლევის მონაცემი

პრაქტიკის ობიექტებზე ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის წრმომადგენლები

არ არიან ჩართულნი სტუდენტთა შეფასების პროცესში

დეტალურად არ ეცნობიან და უჭირთ დასახელება, რა საკითხებს მოიცავდა კოლეჯისგან მიწოდებული ინფორმაცია

ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას კონკრეტული მოდულის ფარგლებში შემავალ თემებსა და საკითხებზე

პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის მთლიანი პერიოდს უთმობენ მთლიან სამუშაო პროცესს

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
თვისებრივი კვლევის მონაცემი

რესპოდენტები დადებითად აფასებენ სტუდენტებს სხვადასხვა კრტერიუმით:

დაინტერესებას პრატიკული სწავლების პროცესით → მოტივაციას → თეორიულ ცოდნას → შეძლებენ იყვნენ კონკურენტუნ არიანი კადრი

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელი პრობლემად ასახელებს სტუდენტთა არასაკმარის თეორიულ ცოდნას კურიკულუმთან დაკავშირებით (პირველი კურსის სტუდენტების შემთხვევაში);

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - აღმზრდელი
თვისებრივი კვლევის მონაცემი

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა კოლეჯისთვის მიეცათ რჩევა/რეკომენდაცია სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

- ✓ ორგანიზაციების მხრიდან დადებითად ფასდება კოლეჯის საქმიანობა
- ✓ კოლეჯში მიმდინარეობს ახალი მიდგომებისა და სტანდარტების სწავლება,
- ✓ ერთადერთ რეკომენდაციად დასახელდა, რომ თეორიული ცოდნით უფრო მეტად მოხდეს სწავლების დატვირთვა

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა - საექთნო განათლება

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

სტუდენტებთან ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ✓ პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციები უზრუნველყოფილნი იყვნენ უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
- ✓ სტუდენტებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი:
    - უსაფრთხოების ნორმების;
    - სანიტარულ/ჰიგიენურ ნორმების
    - ორგანიზაციებში არსებული წესებისა და რეგულაციების შესახებ

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა - საექთნო განათლება

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

- სტუდენტები იღებდნენ რჩევებს და რეკომენდაციებს პრაქტიკის ინსტრუქტორებისგან
- პრაქტიკის ინსტრუქტორები თანაბრად უნაწილებდნენ დროს ყველა სტუდენტს
- პრობლემის წამოჭრის ან საჭიროების შემთხვევაში მიმართავდნენ პრაქტიკის ინსტრუქტორს
- ინსტრუქტორთა მიერ გაწეული დახმარება შეაფასდა 7-10 ქულებით
- სტუდენტები პრქტიკული სწავლების პროცესში იყენებდნენ თეორიულ ცოდნას
- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტთაგან 34 მათგანმა მიიღო დასაქმების შემოთავაზება

http://www.mc.edu.ge

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა - საექთნო განათლება

თვისებრივი კვლევის მონაცემები

- ✓ პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობდა 4 ორგანიზაციაში.
- ✓ კვლევის ფარგლებში, მოხდა პრაქტიკის ინსტრუქტორის სტუდენტებთან სამუშაო პროცესის დაინტერესება - ორგანიზაციის წარმომადგენლები სამუშაო პროცესს იწყებენ სტუდენტთა მიღებით და აღრიცხვით.
- ✓ ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ გარკვეული რეკომენდაციები მიეცათ კოლეჯისთვის და სტუდენტების კომპტენციებთან დაკავშირებით. ისინი გამოხატავენ კმაყოფილებას კოლეჯთან თანამშრომლობის ფორმაზე და ცვლილების საჭიროებას ვერ ხედავენ. მეტნაკლებად კმაყოფილნი არიან სტუდენტთა კომპეტენციებით და იძლევიან რეკომენდაციებს. (ხარვეზი გამოიკვეთა ანატომიის საკითხების ცოდნასთან დაკავშირებით)

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა - ფარმაცია

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

- ✓ პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციები, სტუდენტთა აბსოლიტურ უმრავლესობის შეფასებით, იყვნენ უზრუნველყოფილნი უსაფრთხო სამუშაო გარემოთი.
- ✓ სტუდენტებს ყოველდღიური კომუნიკაცია ჰქონდა პრაქტიკის ინსტრუქტორებთან;
- ✓ პრაქტიკა/პრაქტიკული კომპონენტი სტუდენტისთვის იყო მრავალფეროვანი, რადგან ისინი გარდა იმისა, რომ აკვირდებოდნენ ფარმაცევტების მუშაობის დროს, თავადაც ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა სახის აქტივობის განხორციელებაში.

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა - ფარმაცია

რაოდენობრივი კვლევის მონაცემები

- სტუდენტთა დიდი ნაწილი (11 სტუდენტი) მიმართავდა პრაქტიკის ინსტრუქტორს პრაქტიკული სწავლების დროს დახმარებისა და რჩევს მისაღებად
- სტუდენტთა მიერ დადებითად შეფასდა ინსტრუქტორთა მიერ გაწეული დახმარება და კონსულტაციები
- პრაქტიკული სწავლების დროს, თეორიული ცოდნის გამოყენების ფაქტს ადასტურებს სტუდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა და ისინი ასახელებენ კონკრეტულ მაგალითებს;

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამა - ფარმაცია

თვისებრივი კვლევის მონაცემები

სტუდენტებმა პრაქტიკული სწავლება გაიარეს ორ ორგანიზაციაში. ჩარღმავებული ინტერვიუ ჩატარდა ერთ ორგანიზაციაში.
კვლევის შედეგად გამოიკვეთა:

- ✓ ორგანიზაციის წარმომადგენლები არ არიან ჩაართულნი სტუდენტთა შეფასების პროცესში;
- ✓ ორგანიზაციის მენეჯერი გამოხატავს კმაყოფილებას კოლეჯთან ურთიერთობის ფორმაზე;
- ✓ დადებითად ფასდება სტუდენტთა მოტივაცია, გამოვლენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები;
- ✓ ორგანიზაციის მენეჯერმა გამოთქვა სურვილი, რომ პრქტიკული სწავლებისას მოხდეს მოდულის - მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში - გადახედვა

რეკომენდაციები

კვლევის მონაცემების დამუშავებისა და შესწავლის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ გაიწერა რეკომენდაციები:

- პრაქტიკების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს პრაქტიკანტების მიერ პრაქტიკის ფარგლებში გასასვლელი სრული ინფორმაციის ფლობის საკითხზე;
- საჭიროა კოლეჯის პერიოდულად მოხდეს გადამოწმება პრაქტიკული სწავლების მიმართულებებზე
- უმჯობესის კომპონენტის დროს პრაქტიკის ინსტრუქტორებისგან პრაქტიკის განმავლობაში პერიოდულად მოთხოვნილი იყოს შესრულებული სამუშაოს შესახებ პრეზენტირება წერილობით ან სიტყვიერი ფორმით.
- კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მოდულები და თეორიული საკითხები, რაც საჭიროებს კოლეჯის მიერ ყურადღების მიქცევას.